



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000016525766520

№ კ-162

24 / ივნისი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური პოზიციის თაობაზე მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა ვებგვერდსა და ადმინისტრაციულ შენობაში ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 47-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ალექსანდრე ლუტიძის პირადი განცხადების (N1197, 23.06.2020წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ პოზიციაზე გადაყვანის მსურველი მოხელის გამოსავლენად, გამოქვეყნებულ იქნეს ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში.
2. განაცხადის წარდგენის ვადად განისაზღვროს 2 სამუშაო დღე.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.#17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

გიორგი კაპანაძე